საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

MIA 8 22 01510228

06/06/2022

საქართველოს პარლამენტის წევრს
ბატონ ალექსანდრე ელისაშვილს

ბატონო ალექსანდრე,

2022 წლის № 4659/3-26/22 წერილის პასუხად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე გაცნობებთ, რომ 2003 წლის მდგომარეობით საქართველოს ტერიტორიაზე სულ აღრიცხული იყო 6 499 დამცავი ნაგებობა. 2015 წლის მონაცემებით აღრიცხულია 1 186 დამცავი ნაგებობა, რომელთაგან მხოლოდ 105-ში არის შესაძლებელი მოსახლეობის მიერ თავის შეფარება, რამდენიმე საათით, ვინაიდან, თავშესაფრებში სასიცოცხლო უზრუნველყოფა (ვენტილაცია, გათბობა, ენერგო მომარაგება, კავშირგაბმულობა) არ ფუნქციონირებს. დამცავი ნაგებობების ძირითადი ნაწილის შეუსაბამობა საექსპლუატაციო მოთხოვნებისადმი განპირობებულია მათი კონსტრუქციების დაზიანებით, შესასვლელების ჩახერგვით, დატბორვით, ჰერმეტულობის დარღვევით, ვენტილაციის, გათბობის, ენერგო მომარაგებისა და კავშირგაბმულობის სისტემათა არარსებობით.

მიმდინარე პერიოდში ხორციელდება თავშესაფრებად ვარგისი შენობა - ნაგებობებისა და სათავსების ინვენტარიზაცია მონაცემთა ბაზის განახლების მიზნით.

ამასთან, დამატებით გაცნობებთ, რომ „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური კოორდინაციას უწევს მხოლოდ, მშვიდობიან პერიოდში საგანგებო სიტუაციების მართვას, ხოლო საჰაერო თავდასხმის შემთხვევაში, შეტყობინების სისტემის ფუნქციონირება სცილდება სამსახურის კომპეტენციას.

0114, თბილისი, გულუას ქ.10 ტელ.: (+995 32) 2411068 / ფაქსი: (995 32) 2411005
10, G.Gulua str, Tbilisi 0114, Georgia, Tel.: (+995 32) 2411008 / Fax: (+995 32) 2411005
www.police.ge; e-mail: police@mia.gov.ge

პატივისცემით,

შ.ს.ს.
მინისტრის მოადგილე
ალექსანდრე დარახველიძე